ღმერთის სამსჯავრო ეგვიპტესა და ბაბილონზე

ადგილები წერილიდან: იერ. 46:2-28; 50:1, 8-16, 51:6-9, 24-25, 28-37, 44-45, 58-64

I. წინასწარმეტყველ იერემიას წიგნში წარმოდგენილია სურათი, თუ როგორ მოდის ღმერთი, რომ დასაჯოს და გაასამართლოს ერები, რომლებიც არიან წინასახეები ქვეყნიერების სხვადასხვა ასპექტებისა – 46:2; 47:1; 48:1; 49:1, 7, 23, 28, 34; 50:1:

ა. ერებზე საუბრისას, პირველად იერემიამ ახსენა ეგვიპტე (46:2-28), ხოლო ბოლოს – ბაბილონი (თავი 50-51):

1. აქედან გამომდინარეობს, რომ ღმერთის თვალში ქვეყნიერება არის პირველ რიგში ეგვიპტური, ხოლო შემდეგ ბაბილონური.
2. იერემია წინასწარმეტყველის წიგნში აღწერილი სურათის თანახმად, უკანასკნელი ერი, რომელიც დაექვემდებარება სამსჯავროს, იქნება ბაბილონი; როდესაც ღმერთი აღასრულებს სასამართლოს ბაბილონზე, ღმერთის სამსჯავრო ერებზე დასრულდება.

ბ. ღმერთის სახლმშენებლობის განხორციელებისათვის ეკლესია, ღმერთის ახალი აღთქმისეული რჩეულები, უნდა გამოეყოს ქვეყნიერებას ყველა მის ასპექტში – იოანე 17:14, 16; რომ. 12:2; 1 იოანე 2:15-17.

II. იერემიას 46:2-28-ში საუბარია ღმერთის მიერ ეგვიპტეზე განხორციელებულ სამსჯავროზე:

ა. ეგვიპტე არის წინასახე ქვეყნიერებისა საშოვარისა და ტკბობის ასპექტების თანახმად, რომელთა დახმარებითაც სატანა, ქვეყნიერების მმართველი, რომლის წინასახეც არის ფარაონი, ეგვიპტის მმართველი, იკავებს და იპყრობს ადამიანებს, ამორჩეულებს ღმერთის მიერ ღმერთის სახლმშენებლობისათვის – დაბ. 12:10; 41:57–42:3; რიცხ. 11:4-6; ებრ. 11:25; იოანე 12:31:

1. ეგვიპტის ერი აღნიშნავს სიბნელის სამეფოს, სიბნელის ძალაუფლებას – კოლ. 1:13; მათე 12:26.
2. ქვეყნიერება არ არის ტკბობის სათავე; ის არის ტირანიის ადგილი, და თითოეული ასპექტი ქვეყნიერებისა წარმოადგენს ტირანიის ამა თუ იმ ფორმას – გალ. 4:8.
3. ქვეყნიერებაში სატანა იჭერს ღმერთის რჩეულ ადამიანებს, განკუთვნილებს ღმერთის ჩანაფიქრის შესასრულებლად, თავის დამპყრობელ ხელში – ეფეს. 2:2; ლუკა 13:11-12:
   ა) არსებობა არის ერთი რამ, ხოლო არსებობა ღვთაებრივი ჩანაფიქრისათვის არის რაღაც სრულიად სხვა – რომ. 8:28; ეფეს. 1:11; 3:11; 2 ტიმ. 1:9.
   ბ) სატანამ უკანონოდ დაიპყრო ადამიანები, რათა ისინი ზრუნავდნენ მხოლოდ თავიანთ არსებობაზე, და არა ღმერთის ჩანაფიქრზე თავიანთ არსებობაში – მათე 6:25, 31-33.

4. ღმერთის მიერ ჩვენი მოწოდების ერთ-ერთი ასპექტი, არის ის, რომ გამოგვიყენოს ჩვენ იმისათვის, რომ დავეხმაროთ ადამიანებს, რომ თავი დააღწიონ სატანისა და ქვეყნიერების მხრიდან დაპყრობასა და ტირანიას – საქმე. 26:18; ეფეს. 3:9.

ბ. ქვეყნიერება არის ბოროტი სისტემა, სისტემატიზირებული სატანის მიერ – 1 იოანე 2:15-17; იაკ. 4:4:

1. ღმერთმა შექმნა ადამიანი, რათა მას ეცხოვრა დედამიწაზე ღმერთის ჩანაფიქრის შესასრულებლად, მაგრამ მისმა მტერმა, სატანამ იმისათვის, რომ დაეპყრო ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანი, წარმოქმნა დედამიწაზე ღმერთის საწინააღმდეგო ქვეყნიური სისტემა, ჩანერგა ადამიანები ამ სისტემაში, რომელიც შედგება კულტურისაგან, განათლებისაგან, ინდუსტრიისაგან, კომერციისაგან, გართობისა და რელიგიისაგან – ეფეს. 3:11; დაბ. 1:26-28; 2:8-9; 4:16-24.
2. ყველაფერი დედამიწაზე, განსაკუთრებით ის, რაც დაკავშირებულია კაცობრიობასთან, და ყველაფერი ჰაერში სისტემატიზირებული იყო სატანის მიერ მისი ბნელეთის სამეფოდ, რომელიც იკავებს ადამიანებს და ხელს უშლის მათ ღმერთის ჩანაფიქრის შესრულებაში, და ასევე გადააქვს მათი ყურადღება ღმერთით ტკბობიდან – 1 იოანე 2:15-17.
3. ქვეყნიერება არის ღმერთი მამის წინააღმდეგ, ის, რაც არის ქვეყნიერებაში არის ღმერთის ნების წინააღმდეგ, ხოლო ისინი, ვისაც უყვარს ქვეყნიერება, წარმოადგენენ ღმერთის მტრებს – მუხ. 15-17; იაკ. 4:4.
4. „მთელი ქვეყნიერება“, სატანური სისტემა, „ძევს ბოროტში“ – 1 იოანე 5:19:
   ა) *„მთელი ქვეყნიერება“* მოიცავს თავის თავში ქვეყნიერების სატანურ სისტემას და ქვეყნიურ ადამიანებს, დაცემულ ადამიანურ მოდგმას.
   ბ) სიტყვა *„ძევს“* ნიშნავს, რომ ქვეყნიერება პასიურად რჩება ბოროტის გავლენის სფეროში, რომელმაც დაიპყრო ის და მანიპულირებს მისით; მთელი ქვეყნიერება და ამ ქვეყნიერების ადამიანები პასიურად ძევს სატანის, ბოროტის დამპყრობ და მანიპულირების გამომწვევ ხელში.
   გ) ბერძნული სიტყვა, რომელიც ნათარგმნია როგორც „ბოროტი“ იოანეს 5:19-ში, აღნიშნავს ზიანის მომტანს, დამღუპველად ბოროტს, მას, ვინც გავლენას ახდენს სხვებზე, ხდის მათ ბოროტებსა და გახრწნილებს; ეს ბოროტი პიროვნება არის სატანა, ეშმაკი, რომელშიც ძევს მთელი ქვეყნიერება.
5. სატანა იყენებს მატერიალურ ქვეყნიერებას და იმას, რაც არის ქვეყნიერებაში, რათა საბოლოოდ თავისი თავობის ქვეშ მოიყვანოს ყველაფერი ანტიქრისტეს სამეფოში; იმ დროს ქვეყნიერების სისტემა მიაღწევს თავის ზენიტს, და მაშინ გამოვლინდება, რომ თითოეული შემადგენელი ამ სისტემისა არის ანტიქრისტიანული – 2 თეს. 2:3-12.

6. სატანის ბოროტი ქვეყნიური სისტემა, სიბნელის სამეფო, დაექვემდებარა სამსჯავროს ქრისტეს სამუშაოს მეშვეობით ჯვარზე – იოანე 12:31-32; 16:11:
   ა) თავისი სიკვდილის მეშვეობით ჯვარზე ცოდვის ხორცის მსგავსებაში უფალმა გაანადგურა სატანა, რომელიც იმყოფება ადამიანის ხორცში – რომ. 8:3; ებრ. 2:14.
   ბ) როდესაც ამგვარად გაასამართლა სატანა, უფალმა ასევე გაასამართლა ქვეყნიერებაც, რომელიც დგას სატანაზე – იოანე 16:11.
   გ) როდესაც უფალი იყო აღმართული ჯვარზე, გასამართლდა ქვეყნიერება და მისი მმართველი, სატანა, გაგდებული იყო გარეთ – 12:31-32.

III. იერემია წინასწარმეტყველის წიგნის 50-ე და 51-ე თავებში საუბარია ღმერთის მიერ ბაბილონის სამსჯავროზე:

ა. ბაბილონი როგორც იმპერია დაიწყო ქალაქ ბაბილონიდან – დაბ. 10:8-10:
   1. ბაბილონში სატანამ აღძრა ადამიანური მოდგმა, რომ აჯანყებულიყო ღმერთის წინააღმდეგ, თაყვანი ეცათ კერპებისათვის და აღემაღლებინათ ადამიანური „მე“; ამგვარად, ბაბილონი იყო დასაწყისი, სათავე, ადამიანის ჯანყისა ღმერთის წინააღმდეგ, ადამიანის თაყვანისცემისა კერპებისადმი და ადამიანის მიერ საკუთარი თავის ამაღლებისა – 11:1-9.
   2. ქალაქ ბაბილონის გაგრძელება გახდა ბაბილონის იმპერია, რომელიც ღმერთის თვალში არის დასრულება ადამიანური მმათველობის – იერ. 50:1; საქმე. 2:32-34:
      ა) ნაბუქოდონოსორი, ბაბილონის მეფე, გაიგივებული იყო სატანასთან როგორც სატანის განსხეულება – ესაია 14:4, 11-15.
      ბ) ბაბილონის იმპერიამ დაანგრია ღმერთის წმიდა ქალაქი და მისი წმიდა ტაძარი, ტყვედ წაიყვანა ღმერთის წმიდა ხალხი და წაიღო ღმერთის ტაძრის ჭურჭლები – 2 ნეშ. 36:17-20.

ბ. გამოცხადების მე-17 და მე-18 თავებში ხელახლაწარმოქნილ რომის იმპერიას ეწოდება დიადი ბაბილონი, რომელსაც აქვს ორი ასპექტი – რელიგიური და მატერიალური:
   1. ნათქვამი გამოცხადების მე-17 თავში გვიხსნის რელიგიურ ბაბილონს – განდგომილ რომის კათოლიკურ ეკლესიას:
      ა) ღმერთის თვალში რომის კათოლიკური ეკლესია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ინახავს მრავალ რამეს, რაც მიეკუთვნება იუდაიზმს, და რომელმაც მიიღო მრავალი რამ წარმართობიდან, არის ბაბილონი.
      ბ) მეძავი 17:1-ში არის განდგომილი რომის კათოლიკური ეკლესია.
      გ) ვინაიდან ღმერთს სძულს განდგომილი ეკლესია, დიდი მწუხარების დასაწყისში ის გააკეთებს ისე, რომ ანტიქრისტე და

მისი ათი მეფე გაანადგურებს რომის კათოლიკურ ეკლესიას – მუხ. 16-17.

2. ნათქვამი გამოცხადების მე-18 თავში გვიხსნის მატერიალურ ბაბილონს – ქალაქ რომს:
   ა) გამოცხადების მე-17 და მე-18 თავებში ბაბილონის ორი ასპექტი – რელიგიური ასპექტი და მატერიალური ასპექტი არის შერეული:
      1) მეძავი 17:16-ში აღნიშნავს რელიგიურ ბაბილონს, რომელიც არის სიმბოლო რომის კათოლიკური ეკლესიისა, ხოლო დედაკაცი მე-18 მუხლში აღნიშნავს მატერიალურ ბაბილონს, რომლის სიმბოლოც არის ქალაქი რომი.
      2) ვინაიდან დიდ ბაბილონს აქვს ორი ასპექტი, მისგან გამოსვლა ნიშნავს რელიგიური ბაბილონიდან და მატერიალური ბაბილონიდან გამოსვლას – 18:4.
   ბ) მატერიალური ბაბილონი, ქალაქი რომი, გახდება საძულველი ღმერთის თვალში, რადგან ის იყო სათავე ეშმაკისეული პოლიტიკისა და ეშმაკისეული რელიგიის – მუხ. 6-8, 20-24.
   გ) ქრისტე როგორც სხვა ანგელოზი გაბრწყინდება დედამიწაზე, რათა გაანადგუროს დიდი ბაბილონი, ქალაქი რომი, თავისი დიადი ძალაუფლებით – მუხ. 1-2.

გ. ბაბილონის პრინციპი არის ის, რომ შეაზავოს ადამიანური ღმერთის სიტყვასთან და ხორციელი – იმასთან, რაც მიეკუთვნება სულს – 17:1-5:
1. ბაბილონი არის ნაზავი იმის, რაც არის ღმერთისა და იმის, რაც არის კერპების:
   ა) ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, დაწვა ღმერთის სახლი იერუსალიმში, წაიღო ყველა ჭურჭელი, რომელიც იყო ღმერთის სახლში ღმერთის თაყვანისცემისათვის, და მოათავსა ისინი თავისი კერპების ტაძარში ბაბილონში – 2 ნეშ. 36:6-7; ეზრა 1:11.
   ბ) ახალ აღთქმაში ეს ნაზავი გადიდდა დიდი ბაბილონით – გამოცხ. 17:3-5.
2. ჩვენ უნდა გამოვიდეთ ყველა სიტუაციიდან, რომელშიც ადამიანის ძალა შეზავებულია ღმერთის ძალასთან, ადამიანის შესაძლებლობები შეზავებულია ღმერთის სამუშაოსთან და ადამიანის მოსაზრება შეზავებულია ღმერთის სიტყვასთან – 18:4; შენიშვნა 1.

დ. დიდ ბაბილონს ექნება ორი დაცემა: რელიგიური ბაბილონის დაცემა და მატერიალური ბაბილონის დაცემა – 14:8; 18:2:
1. რელიგიური ბაბილონის დაცემა მოხდება დიდი მწუხარების დასაწყისში – 17:16-17.
2. მატერიალური ბაბილონის დაცემა მოხდება დიდი მწუხარების ბოლოს – 18:2, 21.
3. ქება 19:1-4-ში დაკავშირებულია ძირითადად არა მატერიალური ბაბილონის დაცემასთან, არამედ რელიგიური ბაბილონის დაცემასთან,

რადგან ღმერთის თვალში რელიგიური ბაბილონი უფრო საძულველია, ვიდრე მატერიალური ბაბილონი.

ე. ღმერთი გაასამართლებს ბაბილონს იმ დონეზე, რომ სამყაროში არ დარჩება არაფერი ბაბილონისაგან:

1. ესაიაც და იერემიაც წინასწარმეტყველებდა, რომ უკვე დანგრეული ბაბილონი აღარ აღდგება – ესაია 14:22-23; იერ. 50:39; 51:62.
2. როდესაც ღმერთი გაანადგურებს რელიგიურ და პოლიტიკურ ბაბილონს ამ საუკუნის ბოლოს, ეს იქნება ბაბილონზე სამსჯავროს დასასრული, რაც ნაწინასწარმეტყველებია 50-ე და 51-ე თავებში.
3. დიდი ბაბილონი იქნება დანგრეული, მოშორებული დედამიწიდან და ჩაგდებული ცეცხლის ტბაში, და მოვა ახალი იერუსალიმი, რომელიც გახდება გამორჩეული ცენტრი ღმერთის მარადიული სამეფოსი ახალ ცასა და ახალ მიწაზე – გამოცხ. 11:15; 21:2, 10-11.

© 2020 Living Stream Ministry